499-962-1
ზ-587

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

თამილა ემელიანეს ასული ზვიადაძე

დავით კლდიაშვილის თხზულებათა ენობრივი სტილის ძირითადი საკითხები

10.02.01 - ქართველური ენები

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი**

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თედო უთურგაიძე**

ოფიციალური ოპონენტები — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ინეზა კიკნაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ლია ლეჟავა**

წამყვანი ორგანიზაცია — ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 8 დეკემბერს, 14^{00} სთ-ზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის p. 10.02. c №4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380008, თბილისი, პ.ინგოროყვას ქ.№ 8.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „5....“ .....XI..... 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი ქ. ...

ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი ქ.დათუკიშვილი

-1994-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა.

ცნობილია, რომ ყველა მწერალს თავისებური წერის მანერა და სტილი აქვს. „სტილი ინდივიდუალური მსოფლაღქმაა, გამოხატული შესაბამისი ენობრივი ფორმით“ (ბ.ჯორბენაძე).

მწერლის ენისა და სტილის შესწავლას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ,ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რადგან „მწერლის შემოქმედების სრული და ყოველმხრივი დათასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გათვალისწინებულია ის ფორმა, რომელშიაც მწერალი თავის ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს, ე.ი. თუ შესწავლილია მისი ენა“ (ა.შანიძე).

დავით კლდიაშვილის ენობრივ სტილს ენათმეცნიერთა ყურადღება არ მოჰკლებია. გამოითქვა საინტერესო შეხედულებები და, მიუხედავად უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების არსებობისა, საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას მწერლის თხზულებათა ენისა და შუაიმერული კილოკავის ურთიერთმიმართებაზე, დავით კლდიაშვილის ენობრივი სტილის ძირითად ნიშნებზე. აღნიშნულ საკითხებს კი უკავშირდება არაერთი გრამატიკულ-ლექსიკური და სინტაქსურ-სტილისტიკური მოვლენა, რომელიც შესწავლას მოითხოვს.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

ნაშრომის მიზანია, გაარკვიოს: რა სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს დავით კლდიაშვილის ენობრივ სტილს; როგორ აისახა მწერლის თხზულებებში შუაიმერული მეტყველება, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება; რა მიზნით, რისთვის იყენებს მწერალი დიალექტურ კონკრეტულ ენობრივ ფაქტებს, რამდენად შეესაბამება მის ამოცანას და რა შედეგს იძლევა იდეურ-შინაარსობრივი თუ მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით.